



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
თბილისი შტატის უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 447/02-06
21/10/2020

447-02-06-4-202010211130



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „პ“ ქვეპუნქტების, „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის 12/04 ერთობლივი ბრძანების მე-13 და მე-14 პუნქტების, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას 2020 წლის N 17063/10 წერილის (თან ახლავს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილის განცხადება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2020 წლის 23 ოქტომბრიდან 2021 წლის 18 იანვრამდე ქალაქ პოტსდამში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მაქს პლანკის ინსტიტუტში, ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად და თეორიული კოსმოლოგიის ჯგუფის სემინარზე მოხსენების „სტატისტიკური ოსცილირებადი ამოხსნები შვარცშილდ-დე სიტერის სივრცეში“ წასაკითხად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი გიორგი ლავრელაშვილი;

2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს, გასცეს სამივლინებო სადღეღამისო ხარჯი 3443.98 ლარი (ნაწილობრივ), უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტით მივლინებისათვის განსაზღვრული სახაზინო თანხებიდან (დანართი N1);
3. შეუჩერდეს შრომის ანაზღაურება 2020 წლის 7 დეკემბრიდან 2021 წლის 18 იანვრამდე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს გიორგი ლავრელაშვილს;
4. დაევალოს გიორგი ლავრელაშვილს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;
5. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი);
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა სალინაძე



ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი
თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილის გერმანიის ფედერაციულ
რესპუბლიკაში მივლინების ხარჯთაღრიცხვა

1. სადღეღამისო ხარჯი:

16 დღე (ნაწილობრივ) X 57 ევრო X 3.7763 ლარი = 3443.98 ლარი

სულ: 3443.98 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:

რ. საღარეიშვილი